

უცხოეთი

ინგლისი. მმართველობას განუზრახავს რამდენიმე უესცვალოს პარლამენტს წესდება. საამისოდ შედგენილს პარლამენტს წარადგინებენ პარლამენტის პირველსავე სესიაში. რეფორმის საგანი ის არის რომ მთავრობის მოწინამდგე დასის საბსტრუქტო ტაქტიკას, განსაკუთრებით ირლანდიელებისას, ხელი შეუშალოს.

ზედ მიწვევით ჯერ-ჯერობით არავინ იცის წესდების რა და რა მუხლი იქნება შეცვლილი. უნიონისტების წრეებში დარწმუნებით ამბობენ, ვითომც შეზღუდვას უპირებენ დებუტატების იმ უფლებას, რომელითაც მათ შეუძლიათ სხვადასხვა „საკითხით“ მიმართონ მმართველობას. ეს „საკითხები“ ხშირათ მეტის მეტათ აქიანურებენ ხოლმე პარლამენტში ბაასს. მმართველობა პიტიონს თურმე უფლება მისცეს სპიკერს (თავმჯდომარეს პალატისას) თავის შეხედულებისამებრ გადასწყვიტოს: სასურველია თუ არა საზოგადოების ინტერესებისათვის განხილულ იქნას კრებაზე ამა თუ იმ დებუტატისაგან წარმოდგენილი „საკითხი.“

გარდა ამისა, ჰფიქრობენ თურმე შეზღუდულ დებუტატების ის უფლებაც, რომლითაც მათ შეუძლიათ მოითხოვონ პალატის სხდომის გადადება, მათ მიერ წარმოდგენილ საკითხებზე ყურადღების მისაქცევათ. ასეთი წინადადებანიც თურმე ხშირად იწვევენ ერთს დაუსრულებელს ბაასსა და კამათს.

აწინდელი საპარლამენტო წესდების ძალით ასეთი წინადადების შე-

— „ეს ბოლესტი* ვინ არის?
— „ბოლესტი, ბატონო სტუდენტო,— თითქოს ეწყინა ჩემგან, სახელი რომ დაგუშავებინა, ის, ბოლესტი, ჩემი საქმროა...
— „საქმრო?!?
— „გერე რად გაგვიკვირდეთ, ბატონო? განა, მე, ქალწულს, არ შეიძლება საქმრო მყავდეს?
— „მას, ქალწულს?!... კარგია?
— „ოჰ, რატომ არა! ყველაფერი შეიძლება... დიდი ხანი-კია, რაც ის თქვენი საქმროა?
— „მეექვსე წელიწადი...
„ოჰ-ჰო!— ფიქრობ. დავწერეთ წერილი. წერილი ისეთი ლომობიერი და სასიყვარულო იყო, რომ, იქნებ მეც თვითონ გამეცვალა ადგილი, იმ ბოლესისათვის, თუ მომწერი ტერეზა-კი არა, არამედ სხვა ვინმე, იმაზედ მომცრო ყოფილიყო.

— „სულითა და გულით გმადლობთ, ბ-ნო, სამსახურისათვის!— თავის დაკვრით მუხუბნება ტერეზა.— იქნება მეც შემიძლიან რითიმე გემსახუროთ?
— „არა, დიდადა გმადლობთ!
— „იქნებ, ბატონო, საცვლები დახეულეები გაქვთ?
„ვგრძნობ, რომ წამომავითლა ამ ჩიხოლოში? გამოწყობილმა მასტრონტმა,* (და საკმაოდ სასტიკად განვუცხადე, რომ მისს სამსახურს არა ვსაქირობ.

* ბოლესტი ავადმყოფობდა.
** მასტრონტი ერთგვარი, წარღვნის წინადა მყოფი, ეშვებანიც ცხოველია.

ტანა (საკითხის წამოყენებაზე) შეწყდება იმ შემთხვევაში, თუცა დებუტატების ავტორს მხარს აძლევს რომელიღაც მინისტრი. ამ დამაქვი მმართველობა ჰფიქრობს ეს რიცხვი ასამდე აიყვანოს.

დანარჩენი ცვლილება შეეხება დისციპლინარულ პასუხის გებას იმ დებუტატებისას, რომელნიც პარლამენტის წესდებას არღვევენ ხოლმე.
ასეთს შევიწროებასთან ერთად მმართველობა ჰფიქრობს გააფართოვოს უფლება იმ ავტორების, რომელთაც მმართველობის სახელით შეაქვთ რაიმე კანონ-პროექტი პალატის განსახილველათ.

— ლონდონიდან სწერენ ბერლინის გაზეთს „ბერლინერ ტაგებლატს“, რომ ბერკენლააგტესთან ბურკების მიერ ინგლისელების დამარცხებამ ხარი დასცა აქაურს საზოგადოებასა, როგორც ამბობენ, ამ ბრძოლაში ბევრათ უფრო მეტი ვნოთ ინგლისელებს, ვიდრე მმართველობის ცნობებიდან სჩანს. რამდენსამე ასს ინგლისელს დაუყრია იარაღი. ბურკებმა გამოუშვეს დატყვევებული ჯარის კაცები და აფიცრები კი ტყვეთ დიეტოვეს. ამბობენ, რომ ბურკებს ამ აფიცრებზე სურთ ამოიყარონ ჯავრი თავიანთ საბრძოლვისათ, რომლებიც ამას წინათ დახვრიტეს ინგლისელებმა. ამ ხმებმა მეტის-მეტად ააღვლევა ლონდონის მკხოვრებლები. სამხედრო სამინისტროს შენობის წინ იმდენივე ხალხი იკრიბება ახლა ამ ხმების გამო, რამდენიც ომის გამოცხადების პირველ დღეებში. ყველანი მოუთმენლად მოელოან უფრო ნამდვილსა და ვრცელს ამბებს.

— გამოჩენილს მქვერ-მეტყველს ინგლისისას ლიბერალ დებუტატს

მართალია, ზოგიერთებმა აღნიშნეს, ეს ანგარიშს შეეხება და, მაშასადამე, მისი განხილვა დღესვე შეგიძლიანო, მაგრამ თავჯდომარემ ეს არ შეიწყნარა და ამ საგნის შესახებ ლაპარაკი სრულიად მოკპნა.

შემდეგ ამისა, გიორგი დეკანოზი შეიღმა განაცხადა, რომ ბათუმის სკოლაში 200 ბავშვია და მასწავლებელი-კი ორი, რომლებიც, ექვი არის, საქმეს ვერ გასწვდებიანო. ამისათვის უთუოდ უნდა რაიმე საშუალება გამოვანახოთ და მესამე მასწავლებელი იქმნეს დაიწესილიყო. ამაზედ თავჯდომარემ უპასუხა, რომ სალსარი არსადგანა გვაქვს და როგორ უნდა მოხერხდეს მესამე მასწავლებლის დანიშვნის საქმეო. როდესაც გვექნება, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენ თვითონ ვეცდებით შრომა შევეუშუბუქოთო.

საკვირაო სკოლების დაარსების შესახებ გამგეობამ ის აზრი გამოთქვა, რომ ეს საქმე მთლად მასწავლებელზეა დამოკიდებული და, თუ-კი ვინმე მოინდომებს, ჩვენ შემწეობას მუდამ ვაძლევთო, მაგ., წინარების სკოლაში მასწავლებელი მოინდომა საკვირაო სკოლის მოწყობა და ჩვენც აქედან ხელი შეუწყეთო.

შემდეგ ამისა ბ-მა მამულიაშვილმა აღსძრა ლაპარაკი განსაკუთრებულის რევიზორის დანიშვნის შესახებ, რადგანაც, მისის აზრით, გამგეობის არა პედაგოგ წევრის მიერ სკოლის დამართებობა ვერავითარს ნაყოფს ვერ მოუტანს საზოგადოებას, რადგანაც გამოირკვა, რომ საკუთარ რევიზორისათვის საზოგადოებას სალსარი არა აქვს, კრება დასთანხმდა საზოგადოების მდივანს მეტი გასამრჯელო ეძ-

ლეოდეს და იგი ინიშნებოდეს თავის დროზე სკოლების რევიზორის მოსახდენად, გარდა ქუთაისის სკოლისა, სადაც მდივანთან ერთად უთუოდ ორი წევრიც უნდა დაესწროს და იქაურს სკოლას მთელმა კომისიამ უყოს რევიზია.

კრებამ როინაშვილის ფოტოგრაფიის შესახებ გარდასწყვიტა, რომ მისი საქმე გამგეობას მიანდოს და როგორც ის დაინახავს საზოგადოებისათვის საჭიროდა და სასარგებლოდ, ისე მოიქცეს. კარგა ხნის კამათისა და შენიშვნების შემდეგ სხვადასხვა საგნების შესახებ, კრებამ ანგარიში დაამტკიცა.

რადანაც უკვე გვიან იყო (ნაშუადღეის 4 1/2 საათი), თავმჯდომარემ კრება შემდეგ კვირისათვის გადასდვა. უმრავლესობამ დამსწერ წევრებისამ ამის გამო წინააღმდეგობა განაცხადა და ითხოვა სხდომის გაგრძელება საღამოს 8 საათისათვის დაენიშნათ, რადგანაც ბევრი სოფლებიდან არიან მოსულნი და როგორ შეუძლიანთ ერთს კვირას აქ მოიციადონო. მიუხედავად ამ თხოვნისა, თავმჯდომარემ კრების გადადება საქიროდ დაინახა და კვირას, 4 ნოემბრისათვის, გადასდო.

დაბატ სოფელი

ჯაპანა (გურია). როგორც „ივერიის“ 209 №-შიაც არის მოხსენებული, ჰპანელნი მართლაც ყოველ მხრივ დასჯილნი ვართ და მოკლებულნი ყოველს წესიერებასა და რიგთანს ცხოვრებას. რომ როგორმე გვეშველა ჩვენის გაჭირვებულ მდგომარეობისათვის, ჯაპანელებმა მიგმართეთ თხოვნით თვე, კაგ-

ფელეტონი

ბ ა მ ე ს ი.
(მ. გორკისა.)

ერთხელ ერთმა ჩემმა ნაცნობმა აი რა მიამბო:
როდესაც სტუდენტად ვიყავ მოსკოვში, ცხოვრება ერთ „იმ ნაირთაგანს“ მახლობლად მომიხდა... ხომ მიწხვდით? პოლონელი იყო, სახელიად ტერეზა ერქვა. მაღალი ტანისა, ღონიერი, შეგვგრემანი, შავი, შეერთებული წარბებით და ტლანჭი, თითქოს ცულით ჩამოუთლიათო, სახით—იგი მუდამ თავზარსა მცემდა ხოლმე თავისის მუქი თვალების ელვარებით, ბოხის, დაბალის ხმით, მეტეტოთა კუთვნილ ხრიკებით, მთელის თავისი ვეებერთელა, ბაზარში მოვაჭრე-ქალის მსგავსი, მსხვილ-ძარღვებიანს სხეულის ნაკვეთებით... მე სულ ზემოთ სართულში, ჩარდახში ვცხოვრობდი ლე მისი სახლის კარები ჩემი კარების პირის-პირ იყო. თუ ვიცოდი, რომ ის შინ იყო, მე არასდროს ჩემს კარებს არ ვალეზდი ხოლმე. მაგრამ ეს იშვითადა ხდებოდა. ხან-და-ხან შემემთხვეოდა ხოლმე, რომ კიბეზედ, ან-ებოში შეხვებდებოდი მას, და მიღიმოდა იმ გვარის ღიმილით, რომელიც მე მხეცურ და უსირცხლო ღიმილად მიმჩნადა. არა ერთ-

ხელ მიინახავს იგი მთვრალი, დაქარხლებულის თვლებით, თმა-გაწიწილი, რაღაც განსაკუთრებით უმზგავსოდ მომიმხარი... ამ გვარს შემთხვევებში აი, როგორ გამოემლაპარაკებოდა ხოლმე:

— „გამარჯვებათ, ბატონო სტუდენტო!—და სულელურად იწყებდა ხოლმე ხარხარს, რაიცა ჩემს მისდამი ზიზღს მუდამ აორკეცებდა. უთუოდ გავეცლებოდი და იმ ბინიდან სხვავან საღმე გადავიდოდი, რომ როგორმე განვთავისუფლებულიყავი, მაგრამ ისეთი საყვარელი პატრა ოთახი მქონდა, მისი სარკმლიდან ისე ბლომა ადგილი მოსჩანდა და იმ ქუჩაში ისეთი სიმშვიდე მსუფვედა... რომ ვითმენდი.

ერთხელ, დილით, სარკმელზედ ვგოროვ და თან ვცდილობ რაიმე საფუძველი ვიპოვო, რომ ლექციებზედ არ წავიდე;—უცხად, ამ დროს კარები იღება და ეს საზიზღარი ტერეზა მაღალის ბოხის ხმით მათეუწებს:

— „გამარჯვებათ, ბატონო სტუდენტო!
— „რა გნებავთ?—ვეუბნები და თან ვებდებ—მისი სახე შემფოთებულა, მუდარა გამოკპრთის... არა-ჩვეულებრივი გამოამეტყველი სახე მიუღია.
— „აი, ბატონო, ერთის საქმის შესახება გთხოვთ... ამისრულეთ...
„მე-კი ვწევარ, ვლემვარ და ვფიქრობ:
„მზაკვობაა! ჩემის სიწმინდის

შელახვის განზრახვა, არც მეტი, არც ნაკლები!
„გამარდი, იაგორ, — ვფიქრობ.“
— „მინდა სამშობლოში წერილი გავგზავნო, — მუხუბნება იგი მუდარებით, ნელა, გაუბედავად.

„მეჰ, ვფიქრობ, ეშვაკმა გზიდოს, ინებე! ადექე, მაგიდას მოგუქექე, ქალალდი ავიღე და ვეუბნები:
— „ასე გამოიარეთ, დაჯექით და მიკარანახეთ...
— „იგი მოდის, ფრთხილადა ჯდება სკამზედ და დამნაშავეის გამოამეტყველებით მომჩერებია.

— „აბა, ვის უნდა მივწეროთ წერილი?
— „ვარშავის გზატკეცილზედ. ქალაქ სვენციანში, ბოლესლავ კაშპუტს...
— „რა დავწერო... სთქვით...
„ჩემო საყვარლო ბოლესო... ჩემო გულო... ჩემო ერთგულო საყვარლო... ღვთის მშობელმა დაგიფაროს! ჩემო ოქროს გულო, ამდენ ხანს რატომ წერილს არა სწერ შენს მწუხარე თვალის-სინათლე ტერეზას...
კინალამ გადავიხარხარე: ეს „მწუხარე თვალის-სინათლე“ თორმეტი გრეს სიმალდისა იყო, ფუთიანი მუჭტი ჰქონდა და ისეთი შავი სახე, თითქოს თვალის-სინათლეს თავისს სიცოცხლეში სულ ბუხრები უწუნდოდა და ერთხელაც არ დაუბანია პირო! როგორც იყო თავი შევიმარე, ვეკითხები:

— „არა, დიდადა გმადლობთ!
— „იქნებ, ბატონო, საცვლები დახეულეები გაქვთ?
„ვგრძნობ, რომ წამომავითლა ამ ჩიხოლოში? გამოწყობილმა მასტრონტმა,* (და საკმაოდ სასტიკად განვუცხადე, რომ მისს სამსახურს არა ვსაქირობ.

მორღის შემდეგი სიტყვა წარმოუტყვევს მოტრანსლიის ქ. აბრაშის ტრანსვალის ომიანობაზე:
რა მდგომარეობაში ვართ ახლა?
... ორი წლის ომიანობის შემდეგ? ბურები და ინგლისელები ათათებით ჩაბარდნენ სამარეს; ათათებით მუშები მოწყვეტილნი არიან გვიანთ ოჯახის კერას; ოჯახის კერანი ათათობით ჩაქრა, ათათებით დაიღუპა ადამიანთა სიცოცხლე და ერთი ომიანობა ორად გააძიქვა, რადგანაც ერთი ამათგანი პარტიზანული ომი. ინგლისის ხელშეწყობით — კაპს თავისუფლება მოიპოვა, მისი პარლამენტი დაიხსნა. თავდაპირველი ქრილობა ახლა დაიქცა განგრენათ, რემელიტ ხორის მჭამელათ გადაექცა კაპის ახალგაზრდის, სამხრეთს აფრიკას და ჩვენს შერთან.

როგორღაც ირგვინა — და... მიხედვით!
— „აი რა, ქალბატონო, — ვეუბნები, — არავითარი ბოლესები და ტერფები თქვენ არა გყავთ და გელა ამას ტყუილად ამბობთ. მე ვიცი ნაცნობობა არა მსურს... გეგეთ?
...ის უეცრად როგორღაც უცურად შეშინდა, დაიბნა, ერთს ვაგას ფეხების ტკეპნა იწყო და საცილოდ იწყო ტუჩების ტლანჩი, თითქოს რაღაცა უნდა ექვასო.
— ბატონო სტუდენტო, — დაიწყო, მაგრამ უცბად ხელი ჩაიჭრა და მძაფრად მიბრუნდა კარეკენ, წავიდა. საძაგელს გუნება-შევიქენ. მესმის — მისმა კარებ-დაიბრახუნა; სიანს, გაჯავრდა დაბერი... ვიფიქრე, — წავალ, აქ ვიხიბობ და რაც საქირაა, დაეუბრეთქი.
— გამიგონეთ, — ვეუბნები...
... მუდამ, როდესაც-ცა ამ ისტორიას ვამბობ და ამ ადგილმდე ვივლი ხოლმე; საშინლად უფიქრად ვგრძნობ თავს... ასეთი უფიქრე! ჰოი...
— გამიგონეთ, ვეუბნები...
... იგი წამოხტა; თვალების ეღვრა, თითქოს გამოსწია ჩემსკენ, ხელები გახსნა და მისაკენ დაეძახა: „ჩუქრუ-ჩუქრუ... უფრო-კი, უფრო-კი თვისის ხმით...
— მერე რა არის? ჰა? დღე-ღამე იყო, არ არსებობს არავითარი

დევ, ინგლისი და უფროდეს თავისი ფინანსების მდგომარეობას, თავისი ბოლო-ბოლოების ეგროპაში დასუსტებულ სალდათებს ხელში იმ საქმის გადაწყვეტას, რომლისაგანაც დამოკიდებულია მთელი იმპერიის მომავალი: თუ ამ საქმის გადაწყვეტა სალდათების ხელში დარჩა, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ინგლისს არა ჰყავს ნიქიერი სახელმწიფო მოღვაწეები!

შურნალ-გაზითმებიდან
(ამოკრფილი ამბები)

რეს წელიწადი არ გავა, რომ შეერთებულ შტატების რომელსაღე კუთხეში ბქრის მადნები არ აღმოაჩინონ. როგორც გავითვინებ ვადგომავ, შეტად მდიდარი ახალი ოქროს მადნები კოლორადოს შტატშია აღმოაჩინათ.
... ჩინეთში წილს, როგორც ვეუბნით, შიმშილობაა. დიდ ძალი ხალხია თურმე გაძიქვებაში ჩაქცივნილი. როგორც შანჯაში მყოფ გერმანიის ელჩის მიერ შეკრებილ ცნობებშია ნახან, მარტო კიანსუს პროვინციაში 300,000 კაცია თურმე სკვდელის პირას შიმშილისაგან, ხოლო ნიანხევეში 600,000 კაცი.
... აქამდე შთაგონებას მკურნალობის საქმეში იყენებდნენ. როგორც ერთი გაზიერების დამოაგვემ, ინდოეთში შთაგონების წყალობით ბევრ ნაღრსაც იჭერენ თურმე. წერილის ავტორს ერთი ნაცნობი ინდუსი ჰყვლია, რომელიც უშიშრად უახლოვდება და თურმე ვეუბნის და თვალზე აშტეკრება. ნაღრი განმარტავს ვეღარ ახერხებდა და ამ დროს თოჯს ესროდნენ და ჰკლავდნენ. ერთ კერაში ინდუსს ასეთის ხერხით ექვსი გეუბვი მოუკლავს.
... როგორც ნიუ-იორკის ერთის წიგნთ-საცვის გამგე გამომგვემს, მკითხველს ნაკლებად ჰყვარებიათ დიდ ტომიან თხუ-სულელებათა კითხვა. აღმოჩნდა; რომ ერთ და იმავე თხუ-სულელების პირველ ტომებს უფრო კითხულობენ ხოლმე, ვიდრე უკა-

ბოლეს... არც ტერფია!.. მერე, თქვენ რა? თქვენთვის ძნელია ვანა ორიოდ მიუსვ-მიუსვიათ კალმით ქაღალდზედ, ჰა? ეჭვზე! მერე ეგრეთი... თეთრი ხართ! ვთქვით არავინ არ არის, არც ბოლესი, არც ტერფია, მხოლოდ მარტო მე ვარ... მერე, რა არის, ჰა?
— „მომითმინეთ, — ვეუბნები ამ გვარის მიღებით უზომოდ გვეჭრებულნი, — რაშია საქმე, ბოლესი არ არის?
— „ჰო არ არის! მერე რა არის?
— „არც ტერფია?
— „არც ტერფია! მერე რა ტერფია!
... „არასფერი არ მესმის! თვალები დავაქტივე და ვცდილობ ვაგეგო, რომელი ჩვენთაგანი შესტა-ტეკუნა? ისე-იხე. მაგრდასთან მივიღო. იქ რა-ღაც მოაქვნიან, მოვიდა მერე ჩემთანა და შეურაცყოფილი მეუბნება:
— „უკეთუ ეგრე ძალიან გეტყულებოდათ ბოლესთან მიწერა, აი, ის თქვენი დაწერილი, მიჩრეთ! მე-კი სხვების დამიწერენ...
... „გეგადე — ხელში ბოლესთან მიწერილი წერილი მიჭირავს ფეფუ!
— „მომითმინეთ, ტერფია! რას ჰნიშნავს ეს ყველაფერი? რად გინდათ, რომ სხვებმა დაგვიწერონ, თუ-კი რომ აი, მე დაგვიწერეთ და თქვენ არ-კაცი ვაგეგუნათ?
— „სად?
— „მასთან... ბოლესთან?
— „მერე არსებობს ვანა ეგ ბოლესი!

ნახელებს. ამის დასამტკიცებლად გამგე მრავალი მაგალითი მოჰყავს წიგნთ-საცვის პარტიკულდან.
... ჩოვაგში ხანგებს საკუთარი თეატრი დაუარსებიათ. ამ თეატრის არტისტთა დასი და მოსამსახურენი მთლად ხანგები არიან. ადგილობრივი გაზეთები სწორენ, რომ დასში ბევრი დიდდი ნიქიერი არტისტიაო. პირველ წარმოდგენისათვის შექმნილ „ჰამლეტის“ თურმე დანიშნული.
... ამერიკაში დღეს „პირველ კაცად“ ითვლება ერთი ხანგი, გვარად პარკერი. პარკერმა სტაცა პირველად ხელი ჩოვოსს, როდესაც ამ უკანასკნელმა პრეზიდენტი მაქკინლერი დასტრა, და აი სწორედ მან გაუბრუნა ხანგები მთელს წრესაუბრესში. ერთი თვის წინად პარკერი ღარიბი კაცი იყო, ეხლა-ჲი იგი დიდის შემდგომის პატრონია. პარკერი ქალაქებში დაჰყავთ ხალხისთვის საჩვენებლად და ამაში დიდ-ძალ ფულს ამლევენ. პარკერი, როგორც გამოცდილი კაცი, საჩვენებლად თავის დღევანდელ მდგომარეობით, არაფერს არ ერთობდა და ფულსა ჰხვეტავს, ასე, მაგალითად, იგი დიდ-ძალ დიდებსა ჰყიდის ყოველ დღე და ეუბნება ხალხს, ეს იმ ტანისამოსის დიდებია, რომელიც პრეზიდენტის მოკვლის დროს მეკვაო. გაზეთები სწორენ, პარკერმა იმდენი დიდი გამჭიდა, რომ რამდენსაღე ხელ ტანისამოსს ეწოდება.
... ლონდონში განუზრახავთ დაბადების გამოცემა, რომელიც შემკული იქნება ეგროპისა და ამერიკის შესანიშნავ შატ-ვარათა ილიუსტრაციებით. ლონდონში ჰქვე გამოუყენიათ ამ ილიუსტრაციების ორგანიზატორი. იქ არის ნაწარმოებნი ინგლისულ შატვართა: ბერს ჯონსისა, ალმა ტადემისა, უალტერ კრენისა, სეგინისა და რივიერისა; ფრანგ შატვართა: ბენუამენ კონსტანისა, ვერომისა, ლორანსისა, პივიის დე-შეანისა, რომგროსისა და ჯ. ტისონის; ესპანელთა: „სეგანტინისა“, „მორელისა“ და „მიქეტის“; ნემცებისა: არტურ კამფისა; საშა შენიდერისა, მაქს ლიბერმანისა და უდესი, ფინლიანდიელის ელდელტისა, ჩენის ბროსინისა, ნიდერ-ლანდელის იზრელისა, ბელგიელის დევიენისა და რუსის ი. ე. რეზინისა.

„სრულდები არასფერი არ მესმის! სხვა აღარასფერი არ დამჩრე-ნოდა, უნდა შემეფურთხებინა და წავსულიყავი. მაგრამ აი, როგორ ამიხსნა.
— „რა არის მერე? — შეურაცხ-ყოფილივით ჩაილაპარაკა მან. — არ არსებობს და არა! და ხელები გაიქენა, თითქოს ვერ გაუგია, რა მიზნია, რომ იგი არ არსებობს...
... „მე-კი მსჭრს, რომ იგი არსებობდეს... ვანა მეც, სხვებსავით აღმითნი არა ვარ? ოღონდაც... ვიცით... მაგრამ რა ხარალი მოსდის ამითი, თუ-მე მასა ვწერ...
... „მოითმინეთ — ვინა?
... „და ბოლესსა!
... „იგი ხომ არ არსებობს?
... „იხ, იესო, დედა ღვთისავე! მერე რა არის, რომ არ არსებობს, რა? არ არის, მაგრამ გეგონია, ვითომ არის!.. ვწერ ხოლმე მას, და გამოდის, ვითომც იგი მართლა არის სადმე... ტერფია-კი — მე ვარ, და იგიც მიპასუხებს ხოლმე, მერე მე კიდევ მას...
... „ელბა-კი ვაგეგ... ისეთ ნაირად დამიწყო გულმა ლმობა, ისეთს საძაგელს გუნებაზედ შევიქენ და ისე შემრცხვა რიდასი... ჩემს გვერდით, სამ ნაბიჯს იქით, სტოვრობს ადამიანი, რომელსაც ამ ქვეყნად არა ვინ არა ჰყავს მახლობელი, რომ სიყვარულით, გულით მოგეყრას და აი, ამ ადამიანს თავისთვის მოკვებით შეუქმნია მეგობარი.
... „აი, თქვენ რომ ბოლესთან

გ ა კ ვ რ ი თ
... აღარ მინდობარ, არა...“ ეტიული ბ. შაორისპირელისა; „ივერია“ 1901 წ. № 235
... რა არის ადამიანის ცხოვრება და რა აზრი აქვს ადამიანის არსებობას? ეს არის უმთავრესი საგანი ნამდვილის პოეზიისა და ამაზე უნდა გვეფიქროს პასუხი იმ მწერალმა, რომელიც ახალის სკოლის შექმნას აპირებს და არა კმაყოფილდება ძველის თაობის მიწართულებით. ქართული პოეტები მთელის მე-XIX საუკუნის სიგე-სიგანეზე განუწყვეტლივ სტირიან და ცრემლით ავსებენ საქართველოს არე-მარეს. სტირიან იმერეთში, სტირიან ამერეთში, სტირიან ალ. ქავკაზად, სტირიან აკაცი, სტირის ილია ქავკაზად, ცრემლით სული აქვს შეხუთული ვაჟა-ფშაველას და ცრემლის ზღვაში დასკურავს შოი არაგვისპირელი. ცრემლი ხომ ყველგან ცრემლია, მაგრამ კრიტიკულის თვლით რომ შეგებოთ ამ ცრემლს, ადვილად შევამჩნევთ, ვინც ბუნებით საქართველოს კრიტიკოსებად ვართ დაბადებულნი, ადვილად შევამჩნევთ მეთქი, რომ ცრემლის ჰსინოლოგია სხვა-და-სხვა ნაირია. ვანა აშკარა არ არის, რომ ალ. ქავკაზადის თვალ-ცრემლიანი ლექსი და ეკ. გაბაშვილის, ვაჟა-ფშაველას, კლიაშვილის ან მით უმეტეს არაგვისპირელის მლაშე ცრემლში მოხელილი ნაწერები სულ სხვა-და-სხვა პსინოლოგიურ ნიადაგზე აღმოცენებული. ისტორიულად რომ განესკვიტონ ქართული შატვრული ლიტერატურა, დაინახავთ, რომ რაც ხანი გადის, ჩვენნი მწერლები მით უფრო ღრმად უყურებენ ადა-

სათნობითა ვართ გარემოცულნი და თვით-აზრობისა და ჩვენის ყოველგვარ უცოდველობის რწმენის წყვილადში ვუმჩრეთ ერთმანერთს.
... „საკმაოდ სირეცენე და... ძალიან უღმობელობა გამოდის. ვითომ-და დაცემული ხალხი... რა არის მერე დაცემული ხალხი? უპირველესად ყოველისა — ხალხი, იგივე ძვალი, სისხლი, იგივე ხორცი და იგივე ძარღვებია, როგორც ჩვენი. მთელი საუკუნოები ამას გვეუბნებინა ყოველ-დღე. ჩვენ-კი ვუსმენთ და... ეშმაკა იცის, რა უთავ-ბოლობაა ყველა ეს! ან ჩვენ უკვე სრულიად დაგვრუდით მოყვასთა სიყვარულის შესახებ ხმა-მალად ქადაგებისაგან?.. ან-და სწორედ თვით ჩვენც დაცემულები ვართ და ძალიან ღრმად ჩათრეულები... ყოველგვარ თვით-აზრობისა და რწმენის უბსკრულში, ვითომც ჩვენი ტვინი და ძარღვები უღრესნი იყვენ იმ ხალხის ტვინთანა და ძარღვებთან შედარებით, რომლებიც მხოლოდ ნაკლებ არიან ცბიერნი, ვიდრე ჩვენ, ჩვენზედ ცუდად ეხერხებათ კარგ კაცად თავის მოჩვენება... სხვებ-კი, კმარა ამის შესახებ. ეს ისე ძველია... რომ სირცხვილიც არის ამის შესახებ ლაპარაკი... ძალიან ძველია... ჰო!...“
... ვანა გიუნაშვილი

მიანის ცხოვრებას, მით უფრო...
... კომპოლიტიურს ნიადაგზედ და ამ ნაირად შეერთებულის ძალით უმზადებენ საფუძველს ჩვენს ნანგრევებზე ახალის სკოლების აღმოცენებას.
... აი ეს აზრები ებადება კრიტიკოსს ტვინში, როდესაც კითხულობს ბ-ნ შაორისპირელის პსინოლოგიურს ეტიულს. ჩვენ არ ვიტყვი, რომ ბ-ნ შაორისპირელს წინამორბედები არა ჰყოლოდეს, არ ვიტყვი, რომ ბ-ნ შაორისპირელის კანონებით ყველას უნდა წინამორბედი ჰყავდეს და ამიტომ ალბად შაორისპირელსაცა ჰყავს... მაგრამ ეს ჩვენთვის აქ ინტერესს არ წარმოადგენს. ჩვენ გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ბ-ნ შაორისპირელმა გააფართოვა ქართველი მწერლის ფარგალი და ამ ფარგალში მოაყარა მარტო ქართველის კი არა, ყველა ადამიანის ცხოვრება. ონოფრე და ხვარამზე იმით კი არ ეტრფიან ურთი-ერთს, რომ ქართველები არიან, არც იმით რომ თავდება იმათი სიყვარული გულის გამგმირავის განხეთქილებით, რომ ისინი ქართველი მოღმესანი იყვენ. არა, არა და ათასჯერ არა!.. მიხეტი აქ თვით უკუ-დმართად მოწყობილი ადამიანის ბუნებაა. ვისაც ჩვენ, კრიტიკოსებსავით, დაკვირვების უნარი აქვს, ის დამეთანხმება, რომ ჩვენი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არ დაუსრულე-ბელი წვალება, ტანჯვა, ბედ-შეგობა და ათასი სხვა უბედურება. ონოფრეს ჰგონია, ხვარამზე სრული უმანკობააო, მაგრამ ნამდვილად-კი ხვარამზე თვალთმაქცია და სხვა არაფერი. ბ-ნი შაორისპირელი, როგორც ქვემარტივი პოეტი, სიმბოლიურად აღნი-

სათნობითა ვართ გარემოცულნი და თვით-აზრობისა და ჩვენის ყოველგვარ უცოდველობის რწმენის წყვილადში ვუმჩრეთ ერთმანერთს.
... „საკმაოდ სირეცენე და... ძალიან უღმობელობა გამოდის. ვითომ-და დაცემული ხალხი... რა არის მერე დაცემული ხალხი? უპირველესად ყოველისა — ხალხი, იგივე ძვალი, სისხლი, იგივე ხორცი და იგივე ძარღვებია, როგორც ჩვენი. მთელი საუკუნოები ამას გვეუბნებინა ყოველ-დღე. ჩვენ-კი ვუსმენთ და... ეშმაკა იცის, რა უთავ-ბოლობაა ყველა ეს! ან ჩვენ უკვე სრულიად დაგვრუდით მოყვასთა სიყვარულის შესახებ ხმა-მალად ქადაგებისაგან?.. ან-და სწორედ თვით ჩვენც დაცემულები ვართ და ძალიან ღრმად ჩათრეულები... ყოველგვარ თვით-აზრობისა და რწმენის უბსკრულში, ვითომც ჩვენი ტვინი და ძარღვები უღრესნი იყვენ იმ ხალხის ტვინთანა და ძარღვებთან შედარებით, რომლებიც მხოლოდ ნაკლებ არიან ცბიერნი, ვიდრე ჩვენ, ჩვენზედ ცუდად ეხერხებათ კარგ კაცად თავის მოჩვენება... სხვებ-კი, კმარა ამის შესახებ. ეს ისე ძველია... რომ სირცხვილიც არის ამის შესახებ ლაპარაკი... ძალიან ძველია... ჰო!...“
... ვანა გიუნაშვილი

შნავს, ხვარამზესა და ონოფრეს შუა შვიდ საუკუნის უფსკრული გაჩნდა... ჩვენმა ახალმა პოეტ-სინოლოგმა თავისი უღრმესი და უძლიერესი პესნიმობი სწორეთ იმით გამოხატა, რომ არც კი დასაბუთა ამ უფსკრულის გაჩენა... მართლაც და, ან-კი რა საჭირო იყო ეს? განა მკითხველმა თითონ არ უნდა გაიგოს, რომ ადამიანთა შორის განხეთქილება იმიტომ ჩნდება, იმიტომ, იმიტომ... რომ მას ათასი სხვა-დასხვა მიზეზი აქვს. აი სწორედ ამას ვუწოდებთ ჩვენ ქართულის ლიტერატურის გავერობილებას. შორისპირელები თავისი მოკლე, მაგრამ მაღალის ნიჭით აღბეჭდილის ერთი, ის სამსახური გაუწია მშობლიურს ლიტერატურას, რომ გავერობილება იგი და პსიხოლოგიურის ანალიზით რეალურად შეამკო სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა ადამიანთა ცხოვრებიდან. არ შეგვიძლიან დასასრულ არ აღვნიშნათ, რომ პსიხოლოგიური ანალიზი შეიტანა შარისპირელებმა თვით ქარის ზუზუნშიაც, რომელიც საუცხოვოდ ემორჩილება ახალგაზრდა მწერლის კალამს; იმისი კალამი ისე ჰხატავს ქარის სულის მოძრაობას, თითქოს ეს ქარი კი არა, თვით ავტორის სული იყოს. აი სწორედ ამას ჰქვია ხელოვნების ღვთაებრივი ნიჭი. ეს უტყუარი საბუთია იმისი, რომ ბ-ნ შარისპირელს მართლა პოეტური ტემპერამენტი აქვს. გადიკთხეთ, მკითხველო, ამ წერილის სათაურში დასახელებული ერთი და დამერწმუნებით, რომ ქართულ ლიტერატურის ცაზე ახალი ბრწყინვალე ვარსკვლავი გამოჩნდა...

უმთავრესად ჩინელ საპოლიციო დაჯგუფებს დაევალება; ჩვენი ჯარისკი მარტო იმ შემთხვევაში გაუწევს დახმარებას, როდესაც სადარჯლო რაზმები ვერას გახდებიან და როდესაც ამ დახმარებას თითონ ჩინელი მოხელეები მოითხოვენ.

ბერლინი. ზოგიერთი გაზეთი შენიშნავს: „Rhein. Zeit.“-ს მიერ პეტერბურგიდან მიღებული ამბავი, ვითომ რუსეთი და საფრანგეთი ერთად მეცადინეობდნენ, რომ ოსმალეთმა სომხეთში და ევროპის პროვინციებში რეფორმები მოახდინოს, აქაურ მკოდნე წრეებს მეტად საეჭვოდ მიანიათ. საეჭვოა აგრეთვე ის ამბავიც, ვითომ რუსეთი და საფრანგეთი მიიწვევენ თავიანთს სამოქმედოდ სხვა სახელმწიფოებს, რომლებსაც ბერლინის ხელშეკრულებაზე ხელი უწერიდა. ჯერ-ჯერობით საბუთი არავისა აქვს, რომ ამისთანა კონფერენცია მოიწვიოს, ნიშანიც კი არსად სჩანს იმისი, რომ ამისთანა საბუთი ამ მოკლე ხანში აღმოჩნდეს.

კონსტანტინოპოლი. დიდი ევზირი დღეს დილით გარდაიცვალა. **სირა.** კალიარის დივიზიის ოთხი გემი მოვიდა აქა, ნახშირი დაამზადა და ხუთშაბათს ისევ გზას გაუდგა.

ლონდონი. „Stan.“-ს ამბავი მოჰსვლია შანხაიდან: შანდუნის ახალ გუბერნატორად ჩანგ-სუ-ჩუნი დანიშნა. ეს კაცი აქამდე პურის გადაზიდვის კომისარად იყო ტაივანში.

პარიზი. პალატა. რკინის გზის მოსამსახურეთა მუშაობის გამო კამათის დროს პალატამ 330 ხმის უმეტესობით 116 ხმის წინააღმდეგ მთავრობას ნდობა გამოუცხადა. პალატამ დაადგინა, რომ ხუთშაბათს ამ მოსამსახურეების სასარგებლოდ დაწერილი კანონ-პროექტი განიხილოს.

იუან-შიკაის შიშაღვიღელ უცნობი კაცი დანიშნა. ამ კაცს აქამდე მცირე, მაგრამ მეტად შემოსავლიანი, ადგილი ექირა შანდუნის ერთ ქალაქში.

ლი-ხუნ-ჩანგის მაგიერად ჩინეთის მთავრობის რწმუნებულად დანიშნული ვან-ვენ-შოა ეხლა 74 წლის კაცი; ყურთ აკლია; ეს კაცი არასდროს არ მიაჩნდათ სახელმწიფო კაცად, ანუ დიპლომატად და მისი დანიშვნა, როგორც ეტყობა, დროებითია.

პარიზი. კალიარმა დეპეშით დაწვრილებით შეატყობინა ზღვათა მინისტრს ლანესანს, რანაირად დაიქირა მიტილენის ნავთ-სადგური და იქაური საბაჟო დაწესებულებანი. კალიარს მარტო ერთი რაზმი გადაუყვანია ხმელეთზე. მცხოვრებნი დიდის ნდობით მიჰგებებიან ამ რაზმს.

კონსტანტინეპოლიდან უკანასკნელად მიღებულ დეპეშაში სწერია: ბაპსტს ორდერები ჩააბარეს, რომლებს ძალითაც ოსმალეთის საბაჟოებიდან ლორანდოს მთელ ვალს მიიღებს თვე და თვე 1902 წლის 1 თებერვლიდან 1903 წლის 1 მაისამდე.

პეტერბურგი. ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა მოის-

პოს სამხედრო წესები კვანტუნის ოლქში.

ლონდონი. პილდგოლში გამართულ ნადიმზე სოლსბერომ სთქვა, რომ ჩვენ ეხლა უფრო ძნელი დრო დაგვიდგა, ვიდრე რამდენიმე წლის წინად, მაგრამ სრული საფუძველი გვაქვს ვახაროთ ჩვენს თავს: საერთო მშვიდობიანობა დაურღვევლია; მართალია, ხმელთა შუა ზღვაში უკანასკნელ კვირას პატარა ღრუბლები გამოჩნდა, მაგრამ უკვე გაიფანტა. ეს თვალსაჩინო შედეგია; 50 წლის წინად ასეთი ამბავი ასე უმნიშვნელოდ არ ჩაივლიდა. მაინცა და მაინც საყურადღებო ამბები არაფერია, თუ არ ჩავთვლით სამხრეთ-აფრიკის ომს, მაგრამ არც ამ ომმა უნდა გავვიტეხოს გული, რადგანაც ჩვენ მას დავასრულებთ. მუდმივი გამარჯვება სასურველად დავასრულებინებთ ამ ომს. ომის დასასრული არც ისე ახლოა, როგორც ჩვენ ვიმედოვნებდით, ხოლო თუ დიდი გასაჭირი გამოვიარეთ, ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ თავიდანვე ვერ შევიგნეთ ომის ნამდვილი ხასიათი. ეს ომი ჩვეულებრივი არ არის. ევროპიელთა ომებშიაც ხშირად მომხდარა, რომ პარტიზანული ომი უფრო ხანგრძლივი ყოფილა, ვიდრე ეგონათ. უნდა განვიფიქროთ, რომ ყოველ კვირაში თვალ-საჩინოდ ვიმარჯვებთ. ჩვენი პოლიტიკა უცვლელი რჩება; ჩვენი უმთავრესი სურვილი ის არის, რომ იმ ოლქებში, სადაც ომი მძვინვარებს, მშვიდობიანობა და თავისუფლება დამყარდეს, რათა ამ ოლქებმა მალე ისარგებლონ თვით—მმართველობის სიკეთით. ბურების დამოუკიდებლობა მოუხერხებელია ჩვენს მდგომარეობისათვის აფრიკაში. ინგლისის ერმა გადასწყვიტა, რომ ეს საშინელი ომი არასოდეს აღარ განმეორდეს. ჩვენ სამუდამოდ უნდა მოვსპოთ ის მიზეზი, რომელიც ჩვენს იმპერიისათვის ყოველთვის საშიშარია აფრიკაში. ინგლისის არსებობით ინტერესები თხოულობენ, რომ ჩვენ გამარჯვებით დავასრულოთ ეს ომი.

29 ოქტომბერი.

იკაშისკი. დღეს დაბრუნდა გუბერნატორი მალლერიუსი; უმაღლესის ნებართვით გუბერნიის დროებით მმართველი თავადი ვოლკონსკი პეტერბურგში მიდის.

კიევი. სოფლის საექიმო ნაწილის მოსაწყობად კიევის გუბერნიის ახალი წესი შემოიღეს; წელს ხუთს საავადმყოფოს გახსნიან და მომავალს იანვარში კიდევ ექვსს.

სარატოვი. სიმპერატორო ტენიკოსთა საზოგადოების ადგილობრივ განყოფილება 1903 წელს სატენიკო, საშინაღმრწველო და სამრწველო გამოფენის გამართვას აპირებს, გვემის შედგენა და სხვა-დასხვა დაწესებულებასა და პირებთან მოლაპარაკება განსაკუთრებულს კომისიას მიენდო.

პენზა. თოვლის, სამარხილო გზა გაკეთდა, 5 ს გრადუსზე მეტი სიცივე არ არის.

პარიზი. ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იუწყება წერილით, თანახმად ამ წერილში მოხსენებუ-

ლის სიმპერატორო ედიქტით მიცემულის მიხედვით, რომ პორტა, აღიარებს რა სამართლიანად საფრანგეთისაგან პირველად წარდგენილ მოთხოვნებს, მას შემდეგ მიღებულის მოთხოვნების შესახებ აცხადებს რომ, 1) კანონიერად სცნობს ჩვენის (ფრანგების) ეხლანდელ სკოლების არსებობას და თანახმად ხელშეკრულებათა და კონვენციებისა ანთავისუფლებს საბაჟო გარდასახადისაგან; 2) კანონიერად სცნობს ჩვენის ეხლანდელის საავადმყოფოების და რელიგიური დაწესებულებების არსებობას და თანახმად ხელშეკრულებათა და კონვენციებისა ათავისუფლებს მიწაზე გაწერილის ხარჯისა და საბაჟო გადასახადისაგან; 3) ნებას იძლევა იმ სკოლების, საავადმყოფოების რელიგიური დაწესებულებების განახლებისას, აღორძინებისას და გაფართოვებისას, რომლებიც 1894-1896 წელს ოსმალეთის აზიის ნაწილსა და კონსტანტინეპოლში მომხდარის ამბების გამო დაზიანებულ და დაზარალებულ იქმნენ; 4) მოვალედ სთვლის თავის თავს ნებადართულად ჩასთვალოს ჩვენგან (ფრანგებისაგან) განძრახული დაბრუნება, დაწესება, გაფართოვება, აშენება და შეკეთება, თუ ნახევარის წლის განმავლობაში ამ განცხადების შეტყობის შემდეგ სიმპერატორო მთავრობა პორტესტს არ განაცხადებს; 5) ამტკიცებს ქალღმის პატრიარქის არჩევანს. გარდა ამისა საფრანგეთის საელჩოს კონსტანტინეპოლში წარუდგინეს დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პორტ უკვე შეუდგა ზემოდ აღნიშნულის პუნქტების აღსრულებას. ამის გამო დელკასემ შეატყო ბინა პორტას, რომ საფრანგეთი ანახლებს პორტასთან დიპლომატიურს ურთიერთობას და აღმირაღს კალიარს უგზავნის ბრძანებას მიტილენას დატოვების შესახებ.

კონსტანტინოპოლი. ის ხმა, ვითომც პორტას ეთხოვოს ინგლისისათვის მცირე აზიის დაცვა საფრანგეთისაგან და ამ რიგად 1878 წლის კონვენციის ასრულება, აქ უსაფუძვლოდ მაჩინათ.

პარიზი, ჰფიქრობენ, რომ აღმირაღის კალიარის ესკადრა მიტილენიდან სირაში წავა.—ელჩი კონსტანი მალე დაბრუნდება კონსტანტინეპოლში.

გარცემონა. სამუნიციპალი (საქალაქო) არჩევნების დროს დიდი უწყისობა მოხდა; რამდენიმე საარჩევნო ნაწილში საქმე ისე გამწვავდა, რომ სისხლი დაიღვარა, დასები ერთი მეორეს რევოლვერებიდამ ესროდნენ; ერთი კაცი მოკლულია და 40 დაჭრილი.

ატიენა. ინგლისის კრეისერზე „როველ სოვერინგზე“, რომელიც ნავთსაყუდელს გარეთ იყო გასული სააღლუმოდ, ასტაკოსში უეცრივ იფეთქა და გასქდა ერთი ზარბზანი. ერთი ოფიცერი და ექვსი არტილერისტი მოკლულია, კომანდირი და 13 მატროსი ძალიან არიან დაზარებულნი.

ნიუსი-ნოვგოლო. გემით მიმოსვლის საზოგადოების განყოფილებამ დაადგინა იშუამდამოლოს მომავალს იანვარში ნიუნი-ნოვგოლოში ყრილობის მოსახდენად ვოლგის წყლებზე გემების მიმოსვლის შესახებ მოსალაპარაკებლად.

სოხალ-დღიური სანდო
სტენდარტი
 კავკასიის რკინის გზის მატარებლები მიმოსვლა 15 ოქტომბრიდან 1901 წლის (ფრანგულში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უზენებულ დროს. ფრანგულს ვართ—პეტერბურგის საათით)
მატარებელი მიდის ტფილისიდან გან ბათუმში:
 ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.), ბათუმში ჩავა დილით 8 ს. 33 წ. (9 ს. 26 წ.).
 სამგზავრო მატარებელი № 5 დილით 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).
ტფილისიდან ბორჯომში:
 სამგზავრო მატარებელი № 67 დილით 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩავა დილით 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).
ტფილისიდან ბაქოში:
 სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის დღის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).
 ფოსტის მატარებელი № 4 დილით 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილით 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).
 სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).
ტფილისიდან შარში:
 ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დილით 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).
ბათუმშიდან ტფილისში:
 ფოსტის მატარებელი № 4 დღის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).
 სამგზავრო მატარებელი № 6 დღის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

განცხადება

როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნორტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შექმნა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პ რ ე ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი
 მუქთად იგზავნება,
 კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა
ა. ა. შირიშანიანისა
Музыкальное Депо
М. МИРИМАНЯНА
 Тифлисъ. Дворцовая ул.
 (24—5.—3)